საქართველოს მთავრობის განკარგულება

№282 2017 წლის 21 თებერვალი ქ. თბილისი

„ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელებების აზერბაიჯანის რესპუბლიკის, რუსეთის ფედერაციისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიებზე რეგისტრაციისა და დაცვის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 15 თებერვლის №156 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, „ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელებების აზერბაიჯანის რესპუბლიკის, რუსეთის ფედერაციისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიებზე რეგისტრაციისა და დაცვის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 15 თებერვლის №156 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და:

1. სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქართული ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების აზერბაიჯანის რესპუბლიკის, რუსეთის ფედერაციისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიებზე რეგისტრაციისა და დაცვის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“.

2. პრეამბულა, პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ქართული ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების აზერბაიჯანის რესპუბლიკის, რუსეთის ფედერაციისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიებზე რეგისტრაციისა და დაცვის მიზნით:

1. მიენიჭოს უფლებამოსილება საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრ „საქპატენტს“ (შემდგომში - „საქპატენტი“), რომ განახორციელოს ქართული ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების აზერბაიჯანის რესპუბლიკის, რუსეთის ფედერაციისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შესაბამის უწყებებში რეგისტრაციისა და ზემოაღნიშნული ქვეყნების ტერიტორიაზე მათი დაცვისათვის საჭირო სხვა ღონისძიებები.

2. „საქპატენტმა“, ქართული ადგილწარმოშობის დასახელებებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების აზერბაიჯანის რესპუბლიკის, რუსეთის ფედერაციისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შესაბამის უწყებებში რეგისტრაციისა და ზემოაღნიშნული ქვეყნების ტერიტორიაზე მათი დაცვის მიზნით, სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.“.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**